ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 356

"29" სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

შპს „ავტოსერვისი 16"-ის (ს/ნ 208143034) ლიკვიდაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ბ" ქვეპუნქტის, 106[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანებისა და „შპს ავტოსერვისი 16"-ის (ს/კ 208143034) ლიკვიდაციის პროცესის დაწყების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენისა და შპს „ავტოსერვისი 16"-ის (ს/კ 208143034) ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 სექტემბრის №34.14.662 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს და მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „ავტოსერვისი 16"-ის (ს/კ 208143034) ლიკვიდაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით."

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი